შეხვედრის ოქმი
(CIF & MoH)

თარიღი: 19.06.20.
პროექტის დასახელება: UNDP
პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია : საერთაშორისო ფონდი კურაციო

მონაწილეები:

1. თამარ გაბუნია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
2. ეკა ადამია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
3. ქეთი გოგინაშვილი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
4. სალომე ოდიშარია - გაეროს განვითარების პროგრამა
5. თამარ გოცაძე - საერთაშორისო ფონდი კურაციო
6. ქეთი გოგუაძე - საერთაშორისო ფონდი კურაციო
7. ანო ახვლედიანი - საერთაშორისო ფონდი კურაციო

შეხვედრის დღის წესრიგი

- კურაციოს ხედვა/მიდგომა პროექტის განხორციელებისადმი
- კურაციოსა და ჯანდაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის თანამშრომლობა პროექტის ფარგლებში

- შეხვედრის დასაწყისში პროექტის მეორე კომპონენტის გუნდის ლიდერმა, თამარ გოცაძემ, შეკრებილ საზოგადოებას გააცნო პროექტის მიზნები (კოვიდ19-ის მართვის ხარისხის შესწავლა).
- პროექტის მიზანია შეიქმნას ისეთი მეთოდოლოგია, რომელიც მომავალშიც იქნება ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გამოყენებული
- პროექტის ფარგლებში მომზადდება ორი დოკუმენტი:
    - მეთოდოლოგიური რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა წარიმართოს სამედიცინო მომსახურების ხარისხის მონიტორინგი სამედიცინო ისტორიების კლინიკური აუდიტის მექანიზმის გამოყენებით; აღნიშნული მეთოდოლოგიური რეკომენდაციების დოკუმენტს სამომავლოდ სამინისტრო გამოიყენებს არამხოლოდ კოვიდ 19 -ის, არამედ სხვა ნოზოლოგიებისთვის
    - კოვიდ19-ის შემთხვევების კლინიკური აუდიტი დაგვეხმარება, გავაუმჯობესოთ კოვიდ19-ის მკურნალობაში ჩართულ დაწესებულებებში პაციენტების კლინიკური მართვა და ჩამოვაყალიბოთ რეკომენდაციები, თუ რამდენად სწორად მოხდა კლინიკური შემთხვევების მართვა. იმ შემთხვევაში თუ ეროვნულ გაიდლაინს/პროტოკოლს აქვს გარკვეული ხარვეზები, კონკრეტული რეკომენდაციები ჩამოყალიბდება მის გასაუმჯობესებლად.

თავდაპირველად კურაციო თვლიდა, რომ ხარისხის მართვის მეთოდოლოგიური დოკუმენტი რეგულირების სააგენტოს გადაეცემოდა, თუმცა რადგან რეგულირების სააგენტოს მისი დებულებისა და ნორმატიული აქტების მიხედვით გააჩნია ხარისხის უზრუნველყოფის დამსჯელობითი/მაკონტროლებელი ფუნქცია (ნაცვლად დამხმარე ფუნქციისა, რაც საჭიროა ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესებისათვის), თამარ გაბუნიას

რეკომენდაციით გადაწყდა, რომ ხარისხის გაუმჯობესების გუნდი ჯანდაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის ბაზაზე შეიქმნება.

- **ისტორიების გამოთხოვა და კონფედენციალურობის დაცვა-**„პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით შექმნილი გაიდლაინის „სამედიცინო სფეროში ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის“ გათვალისწინებით საერთაშორისო ფონდ კურაციოს ხელი არ უნდა მიუწვდებოოდეს კოვიდ 19-ით დაავადებული პაციენტების ისტორიებზე. შესაბამისად მათი გამოთხოვა, კოდირება და ანონიმიზაცია უნდა მოხდეს სამინისტროს მიერ, რომელთა გაიდლაინს კურაციო მოამზადებს.
- ჯანდაცვის პოლიტიკის დეპარტამენტმა უნდა გამოყოს ადამიანი, რომელსაც კურაციო გაუფორმებს ხელშეკრულებას და ექნება ორი ვალდებულება:
    - ისტორიების მოძიება, კოდირება და ანონიმიზაცია.
    - ლოჯისტიკური დახმარების გაწევა ჯანდაცვის პოლიტიკის დეპარტამენტისათვის, რათა მოხდეს ექსპერტთა პანელის შერჩევა და ჩამოყალიბება, რომელთა შემადგენლობაშიც შევლენ როგორც დიასპორის, ასევე ადგილობრივი ექიმები; მაგრამ არა ისინი ვინც დღესდღეობით ჩართულები არიან კოვიდ19-ით დაავადებული პაციენტების მკურნალობაში.
    - ექიმების შერჩევის პროცედურის გაიდლაინს კურაციო მოამზადებს.

კლინიკური აუდიტის ჯგუფები

პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდება კლინიკური აუდიტის ორი ჯგუფი : ერთი ჯგუფი დაკომპლექტებული იქნება ადგილობრივი ექიმებისაგან, ხოლო მეორე საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი ექიმებისაგან. ორივე ჯგუფი იმუშავებს ერთიდაიმავე ისტორიებზე, რაც საშუალებას მოგვცემს დავინახოთ რა განსხვავება არის კოვიდ19-ის მკურნალობის ადგილობრივ და საზღვარგარეთ არსებულ პრაქტიკებს შორის.

<u>ისტორიების შეფასებისას ქულების მინიჭება არ მოხდება. კლინიკურ აუდიტორებს კონტრაქტს გაუფორმებს კურაციო, მაგრამ ინფორმაციის გაუთქმელობის შესახებ ხელშეკრულებაზე ხელს სამინისტრო მოაწერინებს.</u>

Action points from this meeting:

#	Action	Due Date	Responsible	Status (C=completed; H= on hold; P=in progress; CL= cancelled)
1.	ჯანდაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ ბრძანების მომზადება ისტორიების მოთხოვნის შესახებ	TBD	ეკა ადამია	
2.	ტექნიკური დავალების მომზადება ისტორიებზე მომუშავე კადრის	25.06.20.	კურაციო	
3.	ჯანდაცვის პოლიტიკის დეპარტამენტიდან საკონტაქტო პირისა დასახელება	24.06.20.	ეკა ადამია	
4.	ისტორიების შერჩევის პროცედურის დოკუმენტის მომზადება	26.06.20.	კურაციო	P

მოამზადა : ანო ახვლედიანი
თარიღი : 23.06.20.